ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4377187

ნომერი: AR1660804

თარიღი : 11.02.2019

გაცემის თარიღი : 15.02.2019

გაცნობის თარიღი : 18.02.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ქუჩა ი.პეტრიწი , N 17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექარ ჯობაძე პ/ნ 01030028485
- ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-2 მ/რ, კვ.1, კორპ. 6, ბ.23

ორგანიზაცია:

- შპს "მაგთიკომი" კოდი: 204876606

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:
- წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით შშპმ პანდუსი არ აკმაყოფილებს განსაზღვრულ სტანდარტებს. პანდუსის მოწყობისას დაცულ უნდა იქნას „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების“ ტექნიკური რეგლამენტის (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილებით) მოთხოვნები და ნორმები, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილ უნდა იქნას განახლებული ფოტომონტაჟი (დამუშავებული არსებული სიტუაციის ფოტოსურათზე) და ესკიზური ნახაზები დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით. (წარტმოდგენილი მასალით პანდუსის % აღემატება 8% საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის #41 დადგენილებით, პანდუსის დახრა უნდა შეადგენდეს 6%-ს, ხოლო კარის ღიობში შესავლელი ბაქნის სიგანე უნდა შეადგენდეს 1,5 მეტრს.)
- ვინაიდან წარმოდგენილი სახით პანდუსის განთავსების არეალი მოქცეულია მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებს გარეთ, ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, წარმოსადგენია სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
- ამასთან, წარმოსადგენია არსებული პანდუსის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.